

## საქართველოს კანონი

### „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96, გვ. 17) 22-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, აგრეთვე მათ შვილობილ საწარმოებზე, რომელთა აქციების ან წილის 100 პროცენტი არის კომერციული ბანკის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საკუთრებაში;

ბ) საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგულირებულ, საქართველოსთან ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების მქონე საჯარო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე, სუვერენულ საფინანსო ინსტიტუტებზე ან განვითარებული ქვეყნების კერძო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) განსაკუთრებულ შემთხვევებზე, რომლებიც ამ მუხლის 3<sup>2</sup> პუნქტით დადგენილი წესით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,  
2014 წლის ----- .